ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1638815

ნომერი: AR1271820

თარიღი : 09.12.2014

გაცემის თარიღი : 12.12.2014

გაცნობის თარიღი : 15.12.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , (ნაკვეთი N 034/514) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ქუთათელაძე პ/ნ 01024037631
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 64

ორგანიზაცია:
- შპს "კრეატივ ჯგუფი" კოდი: 404921803

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ: იმისათვის , რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა „დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტის pdf ფაილის“ ველში ველში აიტვირთოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, რომელზეც დატანილი იქნება საპროექტო სარეკლამო კონსტრუქციის კონტური.

აქვე გაითვალისწინეთ:
– „არსებული სიტუაციის ფოტოსურათების“ და „ფოტომონტაჟის“ ველებში დამატებით აიტვირთოს შორი მანძილიდან გადაღებული ფოტოსურათი და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი.
– ვინაიდან „საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობის“ ველში ატვირთული მესაკუთრის თანხმობა გაცემულია შენობა–ნაგებობის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობასთან დაკავშირებით, საპროექტო დავალებით კი გათვალისწინებულია არა შენობის ფასადზე, არამედ უშუალოდ ტერიტორიაზე სარეკლამო კონსტრუქციის განთავსება, საჭიროა აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის განახლებული თანხმობა.
– „დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტის pdf ფაილის“ ველში ასევე აიტვირთოს შ.პ.ს „
– ევროსტილი XXI“–ს და შ.პ.ს „Creative Group“–ს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ მე-11 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც იჯარის ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარე არის კერძოს სამართლის ურიდიული პირი და ხელშეკრულება დადებულია 1 წელზე მეტი ვადით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.